სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

67ა აკაკი წერეთლის გამზირი
0154 თბილისი, საქართველო
+995 32 2 19 22 23
gac@gac.gov.ge

15 / დეკემბერი / 2023 წ.

KA990165214164623

№ **GAC-03/1056**

საქართველოს პარლამენტს
საქართველოს პრეზიდენტს
საქართველოს პრემიერ-მინისტრს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტროს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ს ანგარიშს:

კერძოდ, 2022 წლის 10 დეკემბრიდან 2023 წლის 10 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ცენტრში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსულია 140 წერილი, აქედან პასუხი გაცემულია 134 წერილზე, ხოლო 6 წერილი განხილვაშია.

აკრედიტაციის ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან/არ გაცემასთან დაკავშირებით დახურული სხდომის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

აკრედიტაციის ცენტრის საჯარო მონაცემთა ბაზა (აკრედიტებულ პირთა რეესტრი) განთავსებულია აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე: www.gac.gov.ge და ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. აღნიშნული ბაზა (ელ. ვერსია Excel-ის ფაილში) მუშავდება და ინახება აკრედიტაციის ცენტრის ადმინისტრაციულ სამსახურში. აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია; აკრედიტაციის ცენტრში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა („დეს“), რის შედეგადაც აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომელთა მხრიდან კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

აკრედიტაციის ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ან საჯარო დაწესებულების კოლეგიური ორგანოს სხდომის დახურვის მიზნით საჭიროების არ არსებობის გამო საკანონმდებლო აქტები არ გამოუყენებია, რადგან აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად არც რაიმე გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

აკრედიტაციის ცენტრს საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების, ან აკრედიტაციის ცენტრის სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაუწევია.

პატივისცემით,